ვპირდებით დედა-საქართველო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 53 (14049) | კვირა, 3 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.



სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს მოუწოდებენ ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება 1968 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა 1968 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

საბჭოთა საქართველოს მშრომელები მოსკოველთა და ლენინგრადელთა მაგალითისამებრ ფართოდ შლიან სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად საქართველო გამოდის კომუნისტური შენებლობის ახალ მიჯნებზე.

შესანიშნავი წარმატებებით და მიღწევებით აღინიშნა რესპუბლიკაში გასული, ოქტომბრის საიუბილეო წელი. საქართველოს მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ყველა ვალდებულება. სამრეწველო წარმოების გეგმა შესრულდა 103 პროცენტით. გეგმის გადამეტებით სამშობლომ მიიღო ლითონის, მანგანუმის, მადნის, ქვანახშირის, მანქანების, ხელსაწყოების, ქიმიური პროდუქტების, კვების, მსუბუქი და მრეწველობის სხვა დარგების ნაწარმის მნიშვნელოვანი რაოდენობა. კიდევ უფრო განვითარდა რესპუბლიკაში სამინაო მშენებლობა, მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების მრავალი ობიექტი. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 222 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 22 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის ყურძნის, ხილის, მარცვლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმები. ყველა ეს წარმატება მოპოვებულია სკკპ XXIII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა, ეკონომიური რეფორმის განხორციელებისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა კეთილმყოფელი გავლენით.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს რესპუბლიკა დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშით. მთავრობის საპატიო ჯილდოებით, სამახსოვრო დროშებით დაჯილდოვდნენ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოები და მშენებლობები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი, რესპუბლიკის მოწინავე მშრომელთა ახალი დიდი რაზმი.

საქართველოს მუშებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ ოქტომბრის საიუბილეო წელს მოპოვებული წარმატებანი, უკეთ გამოიყენონ არსებული მდიდარი რეზერვები და შესაძლებლობანი, მიაღწიონ თავიანთი რესპუბლიკის ახალ აყვავებას საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ძმურ ოჯახში და მომდინარე ხუთწლედის ვადამდე შესრულების შედეგად მყარი საფუძველი შექმნან ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ისტორიის დიდი და საზეიმო მოვლენის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკებმა გაითვალისწინეს თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი და 1968 წლისთვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

მრეწველობაში

ხუთწლედის მესამე, 1968 წელს ვადამდე, 25 დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა.

1968 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან: 8 ათასი ტონა ფოლადი, 15 ათასი ტონა მზა ნაგლინი, 4 ათასი ტონა მილები, 1.000 ტონა თუჯი, 30 ათასი ტონა მანგანუმი, ამოიღონ 45 ათასი ტონა ქვანახშირი, გამოუშვან 30 ავტომანქანა, 10 ათასი ტონა მინერალური სასუქი, 12 ათასი ტონა ცემენტი, 500 ათასი პირობითი ფილა შიფერი, 300 ათასი კვადრატული მეტრი რბილი სახურავი, 1,2 მილიონი მეტრი შალისა და აბრეშუმის ქსოვილი, 765 ათასი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, 500 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 800 ტონა ჩაი, 3,5 მილიონი მანეთის ხორცისა და რძის პროდუქცია და სხვ.

სკკპ XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ძირითადად დაამთავრონ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა გადასვლა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, უზრუნველყონ საწარმოთა მაღალნაყოფიერი და რენტაბელური მუშაობა ახალ პირობებში.

წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით იბრძოლონ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების განუხრელი გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

აწარმოონ ყოველდღიური მუშაობა მრეწველობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, განახორციელონ წარმოების კომპლექსური მექანიზაცია 9 საწარმოში, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია — 86 უბანზე, დანერგონ 32 მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზი, 393 მაღალი წარმადობის აგრეგატი, მანქანა, დანადგარი და ავტომატური ჩარხი. სატრანსპორტო, სასაწყობო, მძიმე ხელის ოპერაციების მექანიზაციის გზით გაათავისუფლონ სულ ცოტა 1.000 მუშა და გამოიყენონ ისინი წარმოებაში.

1968 წელს აითვისონ და დანერგონ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მცირეფოსფორიანი წიდის გამოდნობის უწყვეტი პროცესი და სასაქონლო სილიკომანგანუმის გამოდნობა ჭიათურის საბადოს კარბონატის ღარიბი მადნეულის გამოყენებით; რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში — ლეგირებული ფოლადის შემოსაფენი მილების წარმოების ტექნოლოგია, აგრეთვე აგრეგატ „140"-ის სახურებელი ღუმელების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში — კაპრონის აბრეშუმის შეღებვა და სხვა სამუშაოები.

1968 წელს სერიულ წარმოებაში დანერგონ სულ ცოტა 45 მანქანა, ხელსაწყო და მასალა, მათ შორის: განსაკუთრებით ზუსტი სახეხი ჩარხები, ყურძნის დამუშავების ნაკადური ხაზი, კუკიანი ხილის საკრეფი მანქანა და სხვა პროდუქცია. აითვისონ მსუბუქი და კვების მრეწველობის ახალ სახეობათა საქონლის გამოშვება.

წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ პროდუქციის ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ყოველი ღონისძიებით ამაღლება. 1968 წელს საუკეთესო სამამულო და უცხოური ნიმუშების დონემდე აიყვანონ მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის 200-ზე მეტი ნაწარმი.

ყოველდღიურად იბრძოლონ არასაწარმოო ხარჯების ყოველმხრივი შემცირებისათვის, მასალებისა და შრომითი რესურსების მომჭირნედ ხარჯვისათვის. მიმდინარე წელს დაზოგონ: 4 ათას ტონაზე მეტი შავი და ფერადი ლითონები, 100 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 15 ათას ტონამდე პირობითი სათბობი.

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად დაზოგონ სულ ცოტა 19 მილიონი მანეთი.

სოფლის მეურნეობაში

ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს ფართოდ გამოიყენონ არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი და 1968 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება გაზარდონ 215 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 210 ათასი ტონის ნაცვლად, ყურძნისა — 422 ათას ტონამდე 406 ათასი ტონის ნაცვლად, ხილისა — 259 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 256 ათასი ტონის ნაცვლად, ციტრუსებისა — 45 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 43 ათასი ტონის ნაცვლად, შაქრის ჭარხლისა (საფაბრიკო) — 130 ათას ტონამდე, ანუ 10 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, ეთერზეთოვანი ნედლეულისა — 25 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 24 ათასი ტონის ნაცვლად, დაფნის ფოთლისა — 5800 ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 5180 ტონის ნაცვლად, კარტოფილისა — 261 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 257 ათასი ტონის ნაცვლად, ბოსტნეულისა — 285 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 283 ათასი ტონის ნაცვლად, ხორცისა — 173 ათას ტონამდე, 3 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, რძისა — 530 ათას ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 524 ათასი ტონის ნაცვლად.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დასახული დონის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს ჩაის ფოთლის მოსავლიანობა გაზარდონ 3800 კილოგრამამდე გეგმით გათვალისწინებული 3.750 კილოგრამის ნაცვლად, ყურძნისა — 45 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 43,8 ცენტნერის ნაცვლად, ციტრუსებისა — 40,1 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 39,7 ცენტნერის ნაცვლად, დაფნის ფოთლისა — 9 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 7,5 ცენტნერის ნაცვლად, ეთერზეთოვანი კულტურებისა — 87 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 85,7 ცენტნერის ნაცვლად, შაქრის ჭარხლისა — 340 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 300 ცენტნერის ნაცვლად, კარტოფილისა — 110 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 108,2 ცენტნერის ნაცვლად, ბოსტნეულისა — 105 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 101,5 ცენტნერის ნაცვლად. გაზარდონ ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა 1150 კილოგრამამდე, ანუ 50 კილოგრამით მეტად, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, კვერცხმდებლობა — 112 ცალამდე 110 ცალის ნაცვლად, მატყლის ნაპარსი — 2,6 კილოგრამამდე 2,5 კილოგრამის ნაცვლად.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საფუძველზე სახელმწიფოს მიჰყიდონ: მარცვალი — 88 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 70 ათასი ტონის ნაცვლად; აქედან ხორბალი — 46 ათასი ტონა გათვალისწინებული 30 ათასი ტონის ნაცვლად, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 215 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 210 ათასი ტონის ნაცვლად, აქედან სულ ცოტა 70 პროცენტი პირველი ხარისხის ფოთოლი, ყურძენი — 250 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 240 ათასი ტონის ნაცვლად, ხილი — 125 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 122 ათასი ტონის ნაცვლად, ციტრუსები — 35 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 24 ათას 700 ტონის ნაცვლად, შაქრის ჭარხალი — 130 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი ტონის ნაცვლად, დაფნის ფოთოლი — 4.500 ტონა 3.400 ტონის ნაცვლად, კარტოფილი — 53 ათასი ტონა 50 ათასი ტონის ნაცვლად, ბოსტნეული — 120 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 119 ათასი ტონის ნაცვლად, ეთერზეთოვანი ნედლეული — 25 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 24 ათასი ტონის ნაცვლად, ხორცი — 54 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 52 ათასი ტონის ნაცვლად, რძე — 152 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 150 ათასი ტონის ნაცვლად, მატყლი — 5400 ტონა, გეგმით გათვალისწინებული 5300 ტონის ნაცვლად.

უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა უწყებებმა, რაიონებმა, მეურნეობებმა და ბრიგადებმა.

აჭარის ასსრ მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა გაზარდონ 4830 კილოგრამამდე გეგმით გათვალისწინებული 4670 კილოგრამის ნაცვლად და სახელმწიფოს მიჰყიდონ 34030 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 33030 ტონის ნაცვლად. სახელმწიფოს მიჰყიდონ 8.000 ტონით მეტი ციტრუსები, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

აფხაზეთის ასსრ მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 1000 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ქობულეთის რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს 4.416 ჰექტარ ჩაის პლანტაციებში საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფონ 5.540 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და სახელმწიფოს მიჰყიდონ 24.471 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23.871 ტონისა.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს 3.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 280 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია, ვალდებულება იკისრა მოკრიფოს 160 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 120 ტონის ნაცვლად, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული.

გურჯაანის რაიონის მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 45.000 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 41.000 ტონის ნაცვლად.

ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს 2.000 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 1.800 ტონის ნაცვლად.

თელავის რაიონის სოფელ სანიორეს კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა ყურძნის წარმოება გაზარდოს 1.400 ტონამდე, გეგმით გათვალისწინებული 1.100 ტონის ნაცვლად.

ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მევენახეთა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი გ. ხარიტონაშვილი, ვალდებულება იკისრა 28 ჰექტარი ზვარის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 75 ცენტნერი ყურძენი, გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერის ნაცვლად და სახელმწიფოს ჩააბაროს 210 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 140 ტონის ნაცვლად.

გორის რაიონის მეხილეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 22.000 ტონა ხილი გეგმით გათვალისწინებული 21.400 ტონის ნაცვლად.

ამავე რაიონის სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა ბაღების მოსავლიანობა გაზარდოს 115 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერის ნაცვლად და სახელმწიფოს მიჰყიდოს 355 ტონა ხილი გეგმით გათვალისწინებული 270 ტონის ნაცვლად.

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობაზე

1 მარტს სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობის სალარო სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. კ. ბაიბაკოვი.**

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ესტონეთის სსრ კოლმეურნეობა „სიპრუსის" კომბაინერი, სოციალისტური შრომის გმირი **ე. პ. ოტსმანი,** რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ე. ტ. ჩერედნიჩენკო,** ბაშკირეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ნ. შ. ბიკბოვი,** ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხნის საამწყობო საამქროს ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ა. ცვეტკოვი.**

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ ტუნისის მშრომელთა საყოველთაო კავშირის გენერალური ხაზინადარი **მაჰმადუფ მუსტაფა,** ტანზანიის პროფკავშირთა დელეგაციის ხელმძღვანელი **ხ. მ. ჯოში,** ვენესუელის მშრომელთა უნიტარული პროფცენტრის საორგანიზაციო საკითხთა მდივანი **ლაურეანო ტორეალბა,** ანგოლის მშრომელთა ერთიანი გაერთიანების გენერალური მდივანი **პასკალ ლუვუალუ** და სხვები. (საკ.დეს).

2 მარტს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XIV ყრილობაზე მუშაობდნენ სექციები.

ყრილობის პლენარული სხდომა გაიმართა ნაშუადღევს.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრა

ბუდაპეშტი. 2 მარტი. (ხაკდესი). საკონსულტაციო შეხვედრის მუშაობის მეხუთე დღის შესახებ გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე: პარასკევს საკონსულტაციო შეხვედრა განაგრძობდა მუშაობას. სხდომას თავმჯდომარეობდნენ: კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი არნოლდო ფერატო სეგურა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ალადარ ადამეცი და დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი





საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა 1968 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

(დასასრული)

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის მეხილეთა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. საგკაევი, ვალდებულება იკისრა ბრიგადის 16 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 120 ცენტნერი ნაყოფი გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერის ნაცვლად.

დიდი ყურადღება დაეთმობა სანერგე და სადედე მეურნეობის შემდგომ განვითარებას ვენახების გაშენების გაფართოებისათვის.

ახმეტის სანერგე მეურნეობამ ვალდებულება იკისრა გამოიყვანოს 1.500 ათასი ნამყენი ნერგი და მათი გამოსავლიანობა გაზარდოს 80 პროცენტამდე გეგმით გათვალისწინებული 45 პროცენტის ნაცვლად.

წითელწყაროს რაიონის მიწათმოქმედებმა ვალდებულება იკისრეს მარცვლის წარმოება გაზარდონ 66.000 ტონამდე და სახელმწიფოს მიჰყიდონ 14.000 ტონა გეგმით გათვალისწინებული 10.070 ტონის ნაცვლად.

ამავე რაიონის სოფელ ქვემო ქედის არტელის კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 21 ცენტნერი მარცვალი გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერის ნაცვლად და სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.725 ტონა გეგმით გათვალისწინებული 980 ტონის ნაცვლად.

გარდაბნის რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 32.000 ტონა ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 27.130 ტონის ნაცვლად.

ამავე რაიონის რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 7.500 ტონა ბოსტნეული, რაც 1.600 ტონით მეტია გეგმასთან შედარებით. მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის და მექანიზაციის ფართოდ გამოყენების გზით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და დაზოგონ 14.000 მანეთი.

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეთა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ბოსტნეულის წარმოება გაადიდოს 350 ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 200 ტონის ნაცვლად და სახელმწიფოს მიჰყიდოს 300 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ტონისა, ამასთან საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 240 ცენტნერი ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 115 ცენტნერის ნაცვლად.

წალკის რაიონის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა ვალდებულება იკისრეს კარტოფილის წარმოება გაზარდონ 36.900 ტონამდე და სახელმწიფოს მიჰყიდონ 16.960 ტონის ნაცვლად.

ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ე. მგდესიანი, ვალდებულება იკისრა ბრიგადის ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 250 ცენტნერი კარტოფილი გეგმით გათვალისწინებული 180 ცენტნერის ნაცვლად.

ხაშურის რაიონის მეჭარხლეებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 20.000 ტონა შაქრის ჭარხალი, ანუ 2.000 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

წარჩინებულმა მეჭარხლემ, კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ს. მარიდაშვილმა ვალდებულება იკისრა მისთვის მიმაგრებული პლანტაციის 1 ჰექტარზე მოიყვანოს 1700 ცენტნერი შაქრის ჭარხალი გეგმით გათვალისწინებული 600 ცენტნერის ნაცვლად.

ბოგდანოვკის რაიონის მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 290 ტონა ხორცი და 300 ტონა რძე.

ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს ხორცის წარმოება გაადიდონ 41 ტონით, თვითეულ ცხვარზე მიიღონ 3 კილოგრამი მატყლი გეგმით გათვალისწინებული 2,7 კილოგრამის ნაცვლად და მატყლის წარმოება გაზარდონ 218 ტონამდე გეგმით გათვალისწინებული 196 ტონის ნაცვლად.

თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა ე. წიკლაურმა ვალდებულება იკისრა საშუალოდ ერთ ძროხაზე წველადობა გაზარდოს 3.000 კილოგრამამდე გეგმით გათვალისწინებული 1.700 კილოგრამის ნაცვლად.

გარდაბნის რაიონის ჯანდარის სანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა გაზრდის და სუქებაზე დააყენებს 8.000 სულ მოზარდ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, სუქებიდან მოხსნის 3.000 სულს, 220 კილოგრამი საშუალო ცოცხალი წონით გეგმით გათვალისწინებული 210 კილოგრამის ნაცვლად და გეგმასთან შედარებით 10 პროცენტით შეამცირებს ცენტნერი წონამატების თვითღირებულებას.

გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკამ ვალდებულება იკისრა 1968 წელს მიიღოს 26 მილიონ 500 ათასი ცალი კვერცხი, ამასთან ათეული კვერცხის თვითღირებულება იქნება 55 კაპიკი; სახელმწიფოს მიჰყიდოს 24 მილიონი ცალი კვერცხი გეგმით გათვალისწინებული 22 მილიონის ნაცვლად.

გორის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმამ ვალდებულება იკისრა 1968 წელს აწარმოოს 2 მილიონი 600 ათასი ცალი კვერცხი, ამასთან ათეული კვერცხის თვითღირებულება იქნება 54 კაპიკი; სახელმწიფოს მიჰყიდოს 1 მილიონი ცალი კვერცხი გეგმით გათვალისწინებული 920 ათასის ნაცვლად.

მიწის სავარგულების რაციონალურად გამოყენებისა და მათი ნაყოფიერების გადიდების მიზნით გააკრიანონ 6,6 ათასი ჰექტარი მჟავე ნიადაგები, გათაბაშირიანებით გააუმჯობესონ 6 ათასი ჰექტარი ბიცობიანი ნიადაგი.

შემოიღონ თესლბრუნვა და შიდასამეურნეო მიწათმოწყობა 200 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. განახორციელონ ბოსტნეული კულტურების ნათესების დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია 5 ათას ჰექტარზე, კარტოფილისა — 4,5 ათას ჰექტარზე, გამოიყენონ მანქანების კომპლექსი 10 ათას ჰექტარ ზვრებში.

უზრუნველყონ ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა 8 ათას ჰექტარზე.

სარწყავი სეზონის დაწყებამდე ათი დღით ადრე დაამთავრონ სარწყავი არხების წმენდა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რემონტი.

ყველა საექსპლოატაციო სამუშაო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში დაამთავრონ 1968 წლის 1 დეკემბრისათვის.

რწყვის პროგრესული მეთოდები და მორწყვის ახალი ტექნიკა დანერგონ რესპუბლიკის 6 საბჭოთა მეურნეობასა და 5 კოლმეურნეობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ ვალდებულება იკისრა 1968 წელს საგარანტიო პასპორტების გაცემით შეაკეთოს 4.730 ტრაქტორი, 570 კომბაინი, 1.750 ავტომობილი, 5050 ტრაქტორის, კომბაინისა და ავტომობილის ძრავი, აღადგინოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების 750 ათასი მანეთის ღირებულების გაცვეთილი დეტალები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 8.000 ტონა ხარისხოვანი ფქვილი და 15.000 ტონა კომბინირებული საკვები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გააშენონ მინდორსაცავი ტყის ზოლები 3.200 ჰექტარ ფართობზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.900 ჰექტარისა, გამოიყვანონ ტყის ჯიშების 72 მილიონი ნერგი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 მილიონისა.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით ბეჯითად დანერგონ წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები, იბრძოლონ მიწათმოქმედების კულტურისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებისათვის, მეურნეობათა, განსაკუთრებით სუსტად განვითარებული მთის კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებისათვის, უფრო ფართოდ გამოიყენონ კომპლექსური მექანიზაცია, სრულყონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, მშრომელთა მატერიალური დაინტერესების, შრომის დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ფორმები.

გაძლიერონ ყურადღება მასობრივი კვალიფიკაციების კადრების მომზადების საქმისადმი, ყოველდღიურად იზრუნონ სოფლის მშრომელთა კულტურისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

მშენებლობასა და საქალაქო მეურნეობაში

ბაკადმე — 1968 წლის 27 დეკემბრისათვის შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა. იმ ობიექტების სულ ცოტა 60 პროცენტი, რომლებიც ექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1968 წელს, ჩაანაბარონ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით.

მანქანებისა და მექანიზმების უკეთ გამოყენების, ობიექტებზე მათი სწორი განაწილების, რემონტის ვადების შემცირების გზით აამაღლონ მექანიზაციის, კომპლექსური მექანიზაციის, აგრეთვე მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე. გაადიდონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 8 პროცენტით 1967 წელთან შედარებით, 6 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. 2 პროცენტით შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით.

უზრუნველყონ კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის, ქიმიური, მეტალურგიული, ქვანახშირის მრეწველობის და სამრეწველო სანშენი მასალების, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებათა აკადემიის ობიექტებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა ვადამდე ამოქმედება.

ვადამდე ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 380 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც შენდება სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, საავადმყოფოები 540 კაცისათვის, სბაბავშვო და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი 4 ათასი ბავშვისათვის, აგრეთვე ვადაზე ადრე დაამთავრონ კომუნალურ საწარმოთა და საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტი.

სასწავლო წლის დამდეგისათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ სკოლის შენობები 17 ათასი მოსწავლისათვის. დააჩქარონ სოფლის მეურნეობის ობიექტების მშენებლობის ტემპი და გააუმჯობესონ ხარისხი.

საექსპლოატაციოდ გადაეცეს გაუმჯობესებულსაფარიანი 800 კილომეტრამდე საავტომობილო გზა და 2.000 გრძივი მეტრი კაპიტალური ნიდები.

რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს ეკონომიური და საკონტროლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზით 1968 წელს გამოავლინონ ბიუჯეტის დამატებითი წყაროები და 10 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შეასრულონ მისი შემოსავლის ნაწილი.

ტრანსპორტისა და კავშირგაგმულობის საწარმოებში

ბიერკავკასიის რკინიგზის ობილისისა და სამტრედიის განყოფილებებმა 28 დეკემბრისათვის შეასრულონ ტვირთნიდვის წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით დატვირთონ 200 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, დამატებითი დატვირთვისათვის ყოველდღიურად გაათავისუფლონ საშუალოდ 470 ვაგონი, დაჩქარონ ვაგონების ბრუნვა ნორმასთან შედარებით 0,6 საათით, ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობის ნორმა შეასრულონ 2 ათასი ტონა-კილომეტრის, ვაგონებისა კი 15 ტონა-კილომეტრის გადაჭარბებით. აამაღლონ მგზავრთა და ტვირთის გამგზავნთა მომსახურების კულტურა.

საავტომობილო ტვირთნიდვის 1968 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ ვადამდე — 25 დეკემბრისათვის. გაადიდონ ცენტრალიზებული ტვირთნიდვის მოცულობა, შეამცირონ ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება. აამაღლონ მოსახლეობის მომსახურების კულტურა.

საჰაერო ტვირთნიდვის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის, თვითმფრინავების კომერციული დატვირთვა გაადიდონ 80 პროცენტით და მეტად. დამატებითი ხარჯების გაუწევლად გეგმის გადამეტებით გადაიყვანონ 30 ათასი მგზავრი.

საქართველოს საზღვაო ნაოსნობამ ტვირთნიდვის წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით, აგრეთვე ნავსადგურებში ტვირთის გადამუშავების გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის კაბოტაჟის წლიური გეგმის გადამეტებით გადაზიდოს ათასობით ტონა ტვირთი, 2 პროცენტით შეამციროს საკაბოტაჟო ტვირთნიდვის თვითღირებულება. მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის.

თბილისის მეტროპოლიტენმა მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის, 3 პროცენტით შეამციროს გადაყვანის თვითღირებულება.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გაადიდოს სატელეგრაფო არხების სიგრძე 6 ათასი არხ-კილომეტრით, საქალაქთაშორისო სატელეფონო არხებისა — 5 ათასი არხ-კილომეტრით, დადგას ახალი ტიპის გადამცემი აპარატურა, დამონტაჟოს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 5 ტელეტრანსლატორი ახალ პუნქტებში, დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აიშენოს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ავტომატური სატელეფონო სადგურების 20,3 ათასი ნომერი, აქედან 300 ნომერი გეგმის გადამეტებით. გაუმჯობესოს ხარისხობრივი მაჩვენებლები კავშირგაბმულობის ყველა დარგში.

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში

ბაქონელბრუნვის 1968 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ მოსახლეობას 13 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი.

გადაჭარბებით შეასრულონ ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების წლიური გეგმა. ვადამდე შეასრულონ საცალო სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა განვითარების გეგმა და 1968 წლის დამლევამდე რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გეგმის გადამეტებით გადასცენ საექსპლოატაციოდ 115-სამუშაო ადგილიანი საცალო ვაჭრობის საწარმოები და 1.300-ადგილიანი საზოგადოებრივი კვების საწარმოები.

1968 წელს დამატებით გახსნან რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში 42 მაღაზია, სადაც გამოიყენებენ ვაჭრობის პრაგრესულ მეთოდებს, აქედან სოფლად თვითმომსახურების 10 მაღაზია, რომლებიც საქონლის გადმოლაგების მეთოდით ივაჭრებენ.

სისტემატურად განახორციელონ სავაჭრო ქსელის შემდგომი სპეციალიზაციის ღონისძიებანი.

უზრუნველყონ საკუთარი პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა საზოგადოებრივ კვებამი, საწარმოთა შემდგომი გადაყვანა ნახევარფაბრიკატებით კომპლექსურ მომარაგებაზე, მკვეთრად გაუმჯობესონ საზოგადოებრივი კვება მშენებლობებზე, სკოლებსა და სასწავლებლებში, გაადიდონ ცხელი კერძების რეალიზაცია მინდვრებსა და პლანტაციებში, 1968 წელს გაზარდონ მათი რაოდენობა 5,5 მილიონამდე და ცხელი კვებით უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1300 ბრიგადა.

გაძლიერონ ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის, უზრუნველყონ ფულადი და მატერიალური რესურსების ყაირათიანად ხარჯვა, განახორციელონ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი.

რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წლიური გეგმა შეასრულონ 1968 წლის 28 დეკემბრისათვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა კი 25 დეკემბრისათვის, საექსპლოატაციოდ გადასცენ 132 კომბინატი, ატელიე, სახელოსნო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები. განაზორციელონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების შემდგომი განმტკიცებისა და სპეციალიზაციის ღონისძიებანი.

1968 წელს დამატებით შექმნან რესპუბლიკის რაიონებში 40 ჯამსაღელი კომპლექსური ბრიგადა, ყველა სასოფლო საბჭოსა და დიდ დასახლებულ პუნქტში გაუწიონ მოსახლეობას სულ ცოტა 5 ძირითადი სახეობის მომსახურება.

მთელი ძალღონე მოახმარონ მომსახურების კულტურის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფორმების შემდგომ ამაღლებას, შეკვეთების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებასა და ვადების შემცირებას, მოსახლეობის საჭიროებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

მეცნიერებისა და კულტურის დარგში

�პუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიათ:

— გაადიდონ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა; დაამყარონ უფრო მჭიდრო კონტაქტები წარმოებასთან; დააჩქარონ მეცნიერულ გამოკვლევათა დანერგვა სახალხო მეურნეობაში; თავი მოუყარონ ძირითად ძალებსა და სახსრებს თანამედროვე მეცნიერების იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც მაქსიმალურ ეფექტს იძლევიან;

— გაუმჯობესონ მეცნიერთა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება ასპირანტურასა და ასპირანტურის გარეშე, რაციონალურად გამოიყენონ ისინი და გაუმჯობესონ სადისერტაციო ნაშრომთა ხარისხი;

— კიდევ უფრო გაუმჯობესონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და სკოლების მუშაობა; მოამზადონ სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები; აამაღლონ დისციპლინათა სწავლების, სტუდენტთა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე და გააძლიერონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მათ შორის;

— განამტკიცონ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები;

— აღმოფხვრან მოსწავლეთა განთესვა სკოლებიდან და მოამზადონ პირობები საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის.

— ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშრომელთა კულტურული დასვენების ორგანიზაციას. უფრო ხშირად მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები, მკითხველთა კონფერენციები, თემატური საღამოები მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის პრობლემებზე, მწერალთა ჯგუფების გაგზავნა რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოაწყონ მოძრავი სამხატვრო გამოფენები რაიონებსა და მსხვილ საწარმოებში, ქართული, საბჭოთა და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების მიღწევებისადმი მიძღვნილი ლექცია-კონცერტები და სხვ.

კიდევ უფრო გაუმჯობესონ ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობა, მოსახლეობის კინომომსახურება.

განახორციელონ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა უფრო სრულად შესრულების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საზაფხულო ბანაკების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ორგანიზაციის ღონისძიებანი.

* * *

სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს მოუწოდებენ ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება 1968 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს. ყველა მშრომელს გააძლიერონ ბრძოლა ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გამოავლინონ შემოქმედებითი ინიციატივა, განამტკიცონ დისციპლინა და ორგანიზებულობა, მაქსიმალურად გამოიყენონ წარმოების რეზერვები, გაუფრთხილდნენ რესპუბლიკის, მშობლიური ქალაქებისა და სოფლების ღირსებას, გააძლიერონ მოძრაობა კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრებისათვის.

კისრულობენ რა 1968 წლისათვის გადიდებულ ვალდებულებებს, საქართველოს მშრომელები დამკვიდრებული სახელოვანი ტრადიციისამებრ სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებს.

საქართველოს ყველა მშრომელის სახელით სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი აღუთქვამენ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ ყოველ ღონეს იხმარენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის და ამით ახალ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საერთო-სახალხო საქმეში.

ვალდებულებები გაანხილული და მიღებულია საქართველოს სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მიერ.

კომუნიზმის მშენებელთა მტკიცე ნაბიჯი

საქართველოს სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე

სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა თავის მოხსენებაში ღრმად გააანალიზა გასულ წელს რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობის შედეგები, დაწვრილებით ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა უნდა გადაჭრან ხუთწლედის მესამე წელს.

1967 საუბილეო წელი თქვა მომხსენებელმა, აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების, კულტურული მშენებლობის დიდი მიღწევებით. სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშაკებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა იკისრა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, არა მარტო წარმატებით, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

1967 წელს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება ხასიათდება ბევრი თავისებურებით. იგი არა მარტო გაიზარდა და განვითარდა მოცულობით, არამედ გაწიცადა ბევრი თვისებრივი ცვლილებები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, განაგრძო მომხსენებელმა, ამ თვისებრივი ძვრები, რომლებიც უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საწარმოოა გადაყვანასთან. გასული სამეურნეო წლის დამლევისათვის ახალი სისტემით მუშაობდა 163 სამრეწველო ობიექტი; ამ საწარმოთა პროდუქციის მოცულობა შეადგენს მთელი ჩვენი მრეწველობის წარმოებული პროდუქციის 27 პროცენტს. ამ საწარმოთა მუშაობის შედეგები უდავოდ მოწმობენ იმას, რომ ეკონომიური რეფორმა შესანიშნავ პირობებს ქმნის წარმოების მატერიალური სტიმულირებისათვის.

სულ უფრო ფართოდ იშლება მოძრაობა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის. საწარმოებში იქმნება სპეციალური სამსახურები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, შემოქმედებითი ბრიგადები და სხვა. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვამ გამოავლინა წარმოების დაფარული რეზერვები, გაადიდა შრომის ნაყოფიერება, წარმოების ეფექტიანობა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშაობა ჩვენმა მშენებლებმა, აღნიშნავს ამ. ჯავახიშვილი. საიუბილეო წელს მწყობრში ჩადგა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკი, ტუკვარჩელის № 2 შახტი, ცხინვალის ავტოუსასრემონტო ქარხანა, ხრამ-რუსთავის წყალსადენის პირველი რიგი, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, ოთხი ჩაის ფაბრიკა, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ობიექტი. განხორციელებულია მნიშვნელოვანი კაპიტალური სამუშაოები მელიორაციის დარგში.

ჩვენმა მშენებლებმა შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი და საექსპლოატაციოდ გადასცეს თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მეორე უბანი, სასტუმრო-პანსიონატების კეთილმოწყობილი კორპუსები ტყვარჩელში, სასტუმრო „ივერია“. ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა.

მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს 1967 წელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, ისე სახელმწიფოსათვის მათი მიყიდვის დარგში.

საქართველოს მრავალდარგოვანმა სოფლის მეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმები. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. გაუმჯობესდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსური მდგომარეობა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ შარშან საბჭოთა მეურნეობებმა პირველად გადაჭარბებით შეასრულეს მოგების გეგმა.

ეკონომიკის განვითარების სწრაფმა ტემპმა ხელსაყრელი პირობები შექმნა გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებისათვის. 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულებულია 40 მილიონი მანეთის გადაჭარბებით.

უზრუნველყოფილია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სოციალურ-კულტურული და სხვა ღონისძიებათა დროული და სრული დაფინანსება.

გასული წელი, თქვა ამბ. ჯავახიშვილმა, აღინიშნა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდით. ამის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა ის ფაქტი, რომ შარშან რესპუბლიკაში მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა 50 ათასით, ხოლო მათი საშუალო თვიური ხელფასი — 8 პროცენტით. გასული წლის დამლევს ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადავიდა საქართველოს სახალხო მეურნეობის 900 ათასზე მეტი მშრომელი.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოწმობს საცალო საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება. რომელიც გასულ წელს შეადგენდა 1770 მილიონ მანეთს და წინა წელთან შედარებით 9,1 პროცენტით გაზარდა.

დიდი გაქანებით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. მარტო 1967 წელს სახელმწიფო, კოოპერაციული, საუწყებო და ინდივიდუალური მშენებლობის ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაცემულია დაახლოებით 1700 ათასი კვადრატული მეტრი შერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

დიდად განვითარდა საყოფაცხოვრებო სამსახური ქალაქებსა და განსაკუთრებით სოფლებში. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზარდა 18 პროცენტით, მათ შორის სოფლად — 30 პროცენტით.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებმა მიიღეს 2.155 საავადმყოფო საწოლი. საექსპლოატაციოდ გადაეცა ზესტაფონისა და ხაჩხერის რაიონული მრავალპროფილიანი საავადმყოფოები. სულ მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ მაიაკოვსკისა და ახმეტის რაიონული საავადმყოფოების, ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობათა კომპლექსი და მთელი რიგი სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი.

ახალ საფეხურზე ავიდა სახალხო განათლება, მეცნიერება და კულტურა.

(დასასრული მე-3 გვ.).

მე-2 გვერდი
კვირა,
8 მარტი, 1968 წ.
კომუნისტი





კომუნიზმის მშენებელთა მჯიღცე ნაბიჯი

(დასასრული)

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ანალიზი, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, მოწმობს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა მტკიცედ მიდის წინ გაფართოებული კვლავწარმოების გზით, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი უზრუნველყოფს ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებას. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი დარგი ჩამორჩება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებასა და საზოგადოებრივი შრომის ეფექტიანობაზე. მაგალითად, წლიური დავალება ვერ შეასრულეს ქიმიური მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა და სხვ. ზოგან ჯერ კიდევ ვერ გაიგეს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის არსი, ვერ შეიგნეს, რომ საჭიროა ძირეულად შეცვალონ მიდგომა სამეურნეო პრობლემების შესწავლისა და გადაჭრისათვის, გადასინჯონ ორგანიზაციული საქმიანობის ბევრი ფორმა და მეთოდი თანამედროვე პირობებში მათი ეკონომიანობის თვალსაზრისით.

სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა. და თუმცა შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად იზრდება, მისი ზრდის ტემპი მაინც არ არის საკმარისი. შრომის ნაყოფიერების ზრდას მნიშვნელოვანწილად აფერხებს ის გარემოება, რომ წარმოებაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი კაცრუნის დიდ დენადობას, მოცდენას მუშაობის დროს და კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობას.

მუშაკების დენადობის მიზეზები საკმაოდ რთულ კომპლექსს წარმოადგენს, მაგრამ მათ საფუძვლად უდევს საწარმოს ხელმძღვანელთა ორგანიზაციორული მუშაობის დაბალი დონე. იქ, სადაც წარმოების მეთაურები სისტემატურად ზრუნავენ მუშების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი გაუმჯობესებისათვის, არ შეიმჩნევა მუშახელის დენადობა, მუშები, როგორც წესი მტკიცედ არიან დაკავშირებული წარმოებასთან.

ჯერ კიდევ დიდი ხარვეზებია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისა და წარმოების კულტურის ამაღლების საქმეში. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კომპლექსურ გეგმებს ხშირად ცვლიან წვრილმანი ორგანიზაციული ღონისძიებებით. ეს საბოლოო ანგარიშით იმას იწვევს, რომ საწარმოები სრულად ვერ იყენებენ შრომის ნაყოფიერების ზადიდების რეზერვებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია კაპიტალურ მშენებლობაშიც, როგორც კაპიტალდაბანდებათა ათვისებაში, ისე სამუშაოთა წარმოებაში. საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს დღემდე ვერ მიუღწევიათ რიტმულობისათვის, ვერ უზრუნველყოფენ სამშენებლო სამუშაოთა ჯეროვან ტექნიკურ ორგანიზაციას, მშენებლობაში შრომის ორგანიზაციის მეცნიერული პრინციპების დანერგვას. დაბალია წარმოების კულტურა, უხეშად ირღვევა სამუშაოთა წარმოების ტექნიკური წესები და ნორმები. ცუდად იყენებენ არსებულ ტექნიკას. ირღვევა მასალების ხარჯვის ნორმები. მაღალია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება. ყოველივე ეს მიზეზია მათი არადამაკმაყოფილებელი ხარისხისა, ძირითადი ფონდების საუკსლოოკაციოდ გადაცემის დაგვიანებისა.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, აღნიშნა ამხ. ჯავახიშვილმა, უნდა აღმოვფხვრათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში არსებული ნაკლოვანებანი. მთელი რიგ მეურნეობებში დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, ეფექტიანად ვერ იყენებენ სახოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. მაღალია შრომისა და სახსრების დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე. ჯერ კიდევ არ დაძლეულა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ვაჟრობის, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლებისათვის.

დიდი და სერიოზული ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამეურნეო ორგანიზაციების, ყველა შრომელის წინაშე იმ საქმეში, რომ შეასრულონ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიდის მესამე წლის გეგმა.

ამისათვის, რომ განვამტკიცოთ და ვამრავლოთ წარმატებანი, რომლებიც მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ მოიპოვეს საიუბილეო შეჯიბრებაში, მივაღწიოთ საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას და სოციალისტური კვლავწარმოების გაფართოებას, საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ ხაზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა.

წელს ძირითადად უნდა დავამთავროთ მრეწველობის გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემის არსი, ვერ შეიგნეს, რომ საჭიროა ძირეულად შეცვალონ მიდგომა სამეურნეო პრობლემების შესწავლისა და გადაჭრისათვის, გადასინჯონ ორგანიზაციული საქმიანობის ბევრი ფორმა და მეთოდი თანამედროვე პირობებში მათი ეკონომიანობის თვალსაზრისით.

სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა. და თუმცა შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად იზრდება, მისი ზრდის ტემპი მაინც არ არის საკმარისი. შრომის ნაყოფიერების ზრდას მნიშვნელოვანწილად აფერხებს ის გარემოება, რომ წარმოებაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი კაცრუნის დიდ დენადობას, მოცდენას მუშაობის დროს და კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობას.

მუშაკების დენადობის მიზეზები საკმაოდ რთულ კომპლექსს წარმოადგენს, მაგრამ მათ საფუძვლად უდევს საწარმოს ხელმძღვანელთა ორგანიზაციორული მუშაობის დაბალი დონე. იქ, სადაც წარმოების მეთაურები სისტემატურად ზრუნავენ მუშების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი გაუმჯობესებისათვის, არ შეიმჩნევა მუშახელის დენადობა, მუშები, როგორც წესი მტკიცედ არიან დაკავშირებული წარმოებასთან.

ჯერ კიდევ დიდი ხარვეზებია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისა და წარმოების კულტურის ამაღლების საქმეში. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კომპლექსურ გეგმებს ხშირად ცვლიან წვრილმანი ორგანიზაციული ღონისძიებებით. ეს საბოლოო ანგარიშით იმას იწვევს, რომ საწარმოები სრულად ვერ იყენებენ შრომის ნაყოფიერების ზადიდების რეზერვებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია კაპიტალურ მშენებლობაშიც, როგორც კაპიტალდაბანდებათა ათვისებაში, ისე სამუშაოთა წარმოებაში. საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს დღემდე ვერ მიუღწევიათ რიტმულობისათვის, ვერ უზრუნველყოფენ სამშენებლო სამუშაოთა ჯეროვან ტექნიკურ ორგანიზაციას, მშენებლობაში შრომის ორგანიზაციის მეცნიერული პრინციპების დანერგვას. დაბალია წარმოების კულტურა, უხეშად ირღვევა სამუშაოთა წარმოების ტექნიკური წესები და ნორმები. ცუდად იყენებენ არსებულ ტექნიკას. ირღვევა მასალების ხარჯვის ნორმები. მაღალია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება. ყოველივე ეს მიზეზია მათი არადამაკმაყოფილებელი ხარისხისა, ძირითადი ფონდების საუკსლოოკაციოდ გადაცემის დაგვიანებისა.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, აღნიშნა ამხ. ჯავახიშვილმა, უნდა აღმოვფხვრათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში არსებული ნაკლოვანებანი. მთელ რიგ მეურნეობებში დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, ეფექტიანად ვერ იყენებენ სახოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. მაღალია შრომისა და სახსრების დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე. ჯერ კიდევ არ დაძლეულა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ვაჟრობის, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის სწრაფი ზრდა შეიძლება მკაფიოდ გამოიხატოს ხალხო მეურნეობის ყველა დარგს — მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მშენებლობას, წყალთა მეურნეობასა და მელიორაციას, საგზაო, სახიანო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, ვაჭრობას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, მეცნიერებასა და კულტურას.

ყველას გვესმის, რომ ეს მაღალი, მაგრამ საპატიო ვალდებულებანი უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებენ და მათი წარმატებით შესრულება სერიოზულ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ხალხის ახალ შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას, მთელი ზემოქმედების ძალა წარმართონ მასების აქტივობის ამაღლებისათვის.

დიდი მოვალეობა ეკისრება ჩვენს პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საქმეში.

ამხ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, შრომელი ინტელიგენცია, მთელი ქართველი ხალხი ცოდნას, ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა პირნათლად შეასრულონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებანი, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი სამშობლოს აყვავების საქმეში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

საწარმოო წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვთ ტყვარჩელის მეშახტეებს, ამბობს № 5 შახტის გვირაბგამყვანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. შამბა. ჩვენი შახტის კოლექტივი იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებისათვის. დღეს ჩვენში ყოველი მესამე მაღაროელი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ორატორი აღნიშნავს ნაკლოვანებებს როგორც „ტყვარჩელის ქვანახშირის“ ტრესტის მუშაობაში, ისე ოსტატთა შრომისა და ყოფაცხოვრების ორგანიზაციაში. ყველა უბანი და ბრიგადა, ამბობს ი. შამბა, როდი მუშაობს რიტმულად, არის შრომის დისციპლინის, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის შემთხვევები.

ორატორი აღნიშნავს, რომ შახტები განიცდიან მუშახელის ნაკლებობას. ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოს აქვს ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკები აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე, ტყვარჩელის მაღაროელთა ბავშვებისათვის კი ასეთი ბანაკი არ აგებულა.

სამი წლის წინათ მჩიოლს გადაწყვეტილება, რომ მოქცეს საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფდა მეშახტეებს რძითა და ბოსტნეულით. მაგრამ მეურნეობა აშკარად ვერ ართმევს თავს მისი კოლექტივისათვის დაკისრებულ ამოცანას.

ამხ. შამბამ სიტყვა მისცა თათბირის მონაწილეებს, რომ ტყვარჩელის შრომელნი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი ქვანახშირი მისცენ ჩვენს ქვეყანას, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ შეჯიბრებაში ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სიტყვა ეძლევა ლენინგორის რაიონის სოფელ აბრევის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **ვ. კოდალაევს.** იგი ამბობს, რომ ამ ბოლო დროს კოლმეურნეობის მშრომელებმა მოიპოვეს წარმატებანი, რომ კოლმეურნეობა რაიონის ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობად გადაიქცა. გასულ საიუბილეო წელს კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. წარმატებით განაღდებულია სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, შაქრის ჯარხლის, ბოსტნეულის მიყიდვის გეგმები. კოლმეურნეობა დაჯილდოებულია სამახსოვრო ალმით.

განსაკუთრებით კარგად შრომობდნენ მხნელ-მთესველები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის მოსავლიანობის დავალება. სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილია 30 ცენტნერამდე. სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ვ. გაბიევი ხელმძღვანელობს. მაღალი მაჩვენებლებისათვის მან მიიღო 1500 მანეთი პრემია და 25 ტონა სიმინდი. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა კოლმეურნეებმა, მათ შორის ი. კოდალაევმა, ე. ბოლოტაევამ, ი. ხოზიევმა. მოპოვებულ წარმატებებში თავიანთი საგრძნობი წვლილი შეიტანეს კომუნისტმა მექანიზატორებმა ს. გაბიევმა, ვ. გაბიევმა, ვ. ჩირკოევმა და სხვებმა, რომლებმაც მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში შეასრულეს. კარგი შედეგები მოიპოვეს კოლმეურნეობის მშრომელებმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის საქმეში. შარშან მეცხოველეობისგან მეურნეობამ მიიღო 14 ათასი მანეთი შემოსავალი. მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 1965 წელთან შედარებით შემცირდა 78 მანეთით, ღორის ხორცისა — 108 მანეთით, რძისა — 15 მანეთით.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. კოდალაევი, ჩვენი კოლმეურნეები არ სარგებლობენ მიღწეულს, ცდილობენ გაამრავლონ წარმატებანი, გააძლიერონ საიუბილეო წელს მიღწეული ტემპი და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში უფრო მაღალი მაჩვენებლებით შეეგებონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სიამაყით ლაპარაკობდა საბჭოთა სამშობლოზე, რომელმაც ამის წინათ აღნიშნა თავისი ნახევარი საუკუნის იუბილე, მცხეთის რაიონის ეკონომიკურ-პედიატრი **ლ. სამადლიშვილი.** მე, როგორც მედიკოსს, თქვა მან, მახარებს წარმატებანი, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მიიპოვა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების განვითარებასა და გაუმჯობესებაში. საქართველოში გაშლილია სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი. ყოველ 10 ათას კაცზე რესპუბლიკაში მოდის 32 ექიმი — გაიცვლებით მეტი, ვიდრე ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები.

ორატორმა დაწვრილებით ილაპარაკა რაიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საკითხებზე. ამ ბოლო წლებში აქ შეიქმნა კარგად მოწყობილი სამკურნალო დაწესებულებები, მუშაობს 110 საწოლიანი რაიონული საავადმყოფო, 10 საექიმო ამბულატორია, 2 საუბნო საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, ტუბდისპანსერი, სანეპიდსადგური, რაიონული პოლიკლინიკა და სამი სასწრაფო დახმარების ბრიგადა. პროფილაქტიკური მუშაობის მეთხებით რაიონში შემცირდა დაავადება.

ბევრი ყურადღება ეთმობა ბავშვთა სამედიცინო მომსახურებას. ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურება რაიონის მთელი სამედიცინო ქსელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბავშვთა სიკვდილიანობა თითქმის შეწყდა. ჩვენს რაიონს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია რესპუბლიკაში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის მხრივ. ეს წარმატებები მოიპოვებენ შეჯიბრებაში ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სიტყვა ეძლევა ლენინგორის რაიონის სოფელ აბრევის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **ვ. კოდალაევს.** იგი ამბობს, რომ ამ ბოლო დროს კოლმეურნეობის მშრომელებმა მოიპოვეს წარმატებანი, რომ კოლმეურნეობა რაიონის ერთ-ერთ მოწინავე მეურნეობად გადაიქცა. გასულ საიუბილეო წელს კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. წარმატებით განაღდებულია სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, შაქრის ჯარხლის, ბოსტნეულის მიყიდვის გეგმები. კოლმეურნეობა დაჯილდოებულია სამახსოვრო ალმით.

განსაკუთრებით კარგად შრომობდნენ მხნელ-მთესველები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის მოსავლიანობის დავალება. სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილია 30 ცენტნერამდე. სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ვ. ჩირკოევი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ჰექტარზე 358 ათასზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია და დიდძალი ნედლეული და დამხმარე მასალა.

ბრიგადამ კარგად დაიწყო მიმდინარე სამეურნეო წელიც. იანვრის გეგმა შესრულებულია 103,2 პროცენტით. შექმნილია ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ წარმატებით გაანაღდოს მთელი წლის გეგმაც. ამის საწინდარია თავდადებული შრომა. განსაკუთრებით გამოირჩევიან მეავტომატე ო. ბოჭორიშვილი, მექურეები ვ. შარიკაძე და გ. ცქიტიშვილი, მდნობელი ვ. კალანდაძე, ნ. კოპაძე, შ. ბოლიაშვილი და სხვები, რომლებიც სანმეუშოდ ასრულებენ ყველა დავალებას და ნამდვილი შრომითი გმირობის მაგალითებს იძლევიან.

ბრიგადის წევრები აქტიურად მონაწილეობენ საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ისინი ბევრ სასარგებლო ღონისძიებას ახორციელებენ ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ამხ. ბუცხრიკიძემ განაცხადა, რომ წარმოების მოწინაეთა რიგებშია ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის ყველა კომუნისტი. ახლა საწარმოში ერთი კომუნისტიც არ არის, რომ სისტემატურად გადაჭარბებით არ ასრულებდეს სახელმწიფო გეგმას.

მაგრამ ქარხნის წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არ იყოს ზოგიერთი ნაკლი. საწარმოს შეფერხებით ამარაგებენ სათადარიგო ნაწილებით, იგი საკმაო რაოდენობით ვერ იღებს ზავი ლითონის ნაგლინისა და სხვა მასალებს, რაც ირღვევს აგრეგატების, რემონტის ვადებს, იწვევს მოცდენას.

დათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავე მექანიზატორის **ნაზიბროლა ხასაიას** გამოსვლას.

110 ჰექტარი უჭირავს ჩვენს საბჭოთა მეურნეობას, თქვა მან. მისი კოლექტივი თავდადებული შრომით უპასუხებს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მეჩაიეობის შემდგომი განვითარებისა თ ვ ი ს. ჩვენი მეჩაიეები ნამდვილ გმირობას იჩენენ სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში, არ ეშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, რომ ჩინებული მაჩვენებლებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ჩვენში მასობრივი ხასიათი აქვს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას. შარშან აჩიგვარელებმა პირნათლად შეასრულეს ათასობით სოციალისტური ვალდებულებანი. მათ მოკრფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 3.225 ტონა „მწვანე ოქრო“, რაც 345 ტონით აღემატება გეგმას. ჰექტარობრივი მოსავლიანობა ერთიორად და მეტად გაიზარდა.

ჩვენში, თქვა შემდეგ ორატორმა, სულ უფრო მაღლდება მექანიზაციის დონე, კერძოდ ნედლეულის მექანიზებული კრეფის პროცესიც, ინერგება აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

იმან, ვინც ჩაის კრეფს, იცის, რამდენად შრომატევადი სამუშაოა ეს. დიახ, ძნიელი მეჩაიის შრომა. მუშაობა გვიხდება მცხუნვარე მზესა თუ წვიმაში, თანაც წელში მოხრილს. ერთი კალოგრამი ჩაის ფოთოლი რომ მოვკრიფოთ, სამი ათასჯერ უნდა გავიმეოროთ ერთი და იგივე მოძრაობა, დღიური ნორმის შესასრულებლად კი 50 ათასჯერ. ამასთანავე თვალი უნდა ვადევნოთ იმასაც, რომ არ დავრღვიოთ კრეფის ტექნოლოგია. აი როგორ მუშაობას ასრულებენ ჩვენი მეჩაიეები.

ჩაის ფოთლის კრეფის სირთულემ აიძულა ბევრი საზღვარგარეთელი მეცნიერი უარი ეთქვა ჩაის საკრეფი მანქანის შექმნაზე. მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ ასეთი მანქანა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის პატივსაცემად „საქართველო“ ეწოდა, საქართველოში შეიქმნა. ჩვენ მადლობას ვუძღვნით მეცნიერთა კოლექტივსა და მის ხელმძღვანელს პროფესორ შ. კერესელიძეს, მუშებს, ყველას, ვინც ეს შესანიშნავი მანქანა აჩუქა ჩვენს მეჩაიეებს.

მამაჩემი, მოწინავე მექანიზატორი, კარგად მართავდა ჩაის საკრეფ მანქანას. „საქართველოს“ მძღოლები ახალგაზრდებიც უნდა გახდნენ, ვფიქრობდი მე და მალე დავეუფლე ამ სპეციალობას. 8 კლასის დამთავრების შემდეგ შევედი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. და აი დღეს დამოუკიდებლად ვმართავ ჩაის საკრეფ მანქანას, ამავე დროს ვსწავლობ ტექნიკუმის მეორე კურსზე მექანიზაციის სპეციალობით. მე კარგად ავითვისე და შევესწავლე მანქანის ყველა მუშა ორგანო.

საბჭოთა მეურნეობაში მანქანა „საქართველოთი“ ჩაის კრეფის გეგმა შარშან 202 პროცენტით შესრულდა. მანქანით მოკრეფილი ფოთოლი გაცილებით უკეთესია ხარისხობრივად, ვიდრე ხელით მოკრეფილი, ამას გარდა თვისუფლდება ბევრი მუშახელი, იზრდება შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, ერთი მანქანის დატვირთვამ შარშან შეადგინა 38 ტონა ფოთოლი. თითოეულმა მანქანამ გაათავისუფლა 32 კაცი. ცენტნერი ჩაის თვითღირებულება შემცირდა 3 მანეთითა და 58 კაპიკით. ჩაის მექანიზებული კრეფა ადიდებს მოსავლიანობასაც.

პირადად მე მანქანით მოკრეფილ 40 ტონა მაღალხარისხოვანი ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 29 ტონის ნაცვლად.

ახლა ყველა ჩვენი მეჩაიე შეჯიბრებაშია ჩაბმული ხუთწლედის მესამე წელს კიდევ უფრო უხვი მოსავლის მოწევებისათვის, იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაუუმჯობესოთ სახელი ქართულ ჩაის. დიდი ვალდებულებანი ვიკისრე მეც.

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა საიუბილეო წელი თბილისის წინდის ფაბრიკის „კრწანისის“ კოლექტივმა, რომელშიც 70 პროცენტმა მეტი ანაგაზრდობა. წლიური გეგმა შესრულდა 25 დეკემბრისათვის, სახელმწიფომ დავალების გადამეტებით მიიღო 208 ათასი წყვილი წინდა. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შესრულდა 107,9 პროცენტით. შესრულდა აგრეთვე ეკონომიური ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა.

წარმატებით შეასრულა ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი თვის საწარმოო დავალებანიც. ფაბრიკაში განხორციელდა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. ყოველივე ამაზე ილაპარაკა კომუნისტური შრომის დამკვრელმა, ფაბრიკის საამქრო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა **მ. ახუთაძემ.**

ჩვენი კოლექტივის ბევრმა წევრმა გაიმარჯვა, თქვა მან, გამარჯვებული გამოვიდა სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის. თავი გამოიჩინეს კომკავშირელმა მრთველებმა სისაურმა, გოგიძემ, ბესოლოლონიანმა, გამომჭრელმა ჯინჭარაძემ, მკერავებმა შურდულოკაძემ და ჩიღვინაძემ, დამზარისხებელმა ზედელაშვილმა, ქვეოსტატმა მელქაძემ და სხვებმა. ისინი ბანაგრძობენ უფროსი თაობის იმ მუშაკთა კარგ შრომითს ტრადიციებს, რომლებიც ახლაც ვეიჭვენენ შრომისადმი კეთილსინდისიერი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს. ესენი არიან მრთველები რამიშვილი, პაპუნაშვილი, ხანველოვა, კობეჩია, დამზარისხებლები ქავზანაძე, ბახტაძე, ბრიგადირი წულაია და სხვები.

დიდ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას ეწევა საწარმოში კომკავშირული ორგანიზაცია. იგი ზრუნავს ახალგაზრდობის აღზრდისათვის მინდობილი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, თავის თავისა და მთელი კოლექტივისათვის პასუხისმგებლობის, კოლექტივის საუკეთესო ტრადიციებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენთან ახალბედებს, იმათ, ვინც მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს შრომითს სარბიელზე. კომკავშირის კომიტეტთან შექმნილია კომისია, რომელიც ზრუნავს მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ფართოდ დაინერგა ახალბედებისადმი ინდივიდუალური შეფობის პრაქტიკა, ისინი მიმაგრებული ჰყავთ გამოცდილ ოსტატებს.

მაგრამ, თქვა ორატორმა, ეს მუშაობა ჯერ კიდევ როდია საკმარისი. აშვიათად ეწყობა და კამპანიის ხასიათი აქვს ახალგაზრდა მუშაფთა შეხვედრას შრომის ვეტერანებთან, შრომის წვიანაკებისა და პირველი ხელფასის გადაცემას საზეიმო ვითარებაში და სხვა ღონისძიებებს.

ტრიბუნაზეა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მეკვლახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი **ა. შოშიაშვილი,** რომელმაც ილაპარაკა თავისი ბრიგადის მუშაობის შესახებ. მისი ბრიგადა უკვე რამდენიმე წელია პირველობას ინარჩუნებს კოლმეურნეობაში ყურძნის უხვი მოსავლის მოწევაში. შარშან ბრიგადამ, არაჩელსაყრელი ამინდის მიუხედავად, 363 ტონა ყურძენი მოკრიფა გეგმით გათვალისწინებული 347 ტონის ნაცვლად. ბრიგადამ ეს წარმატება მოიპოვა იმით, რომ კარგად უვლიდა ვენახებს, დროულად და ხარისხიანად ასრულებდა ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას.

დიდია კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში. ყველა ჩამორჩენილ უბანს სათავეში უდგიან კომუნისტი სპეციალისტები. თერმეტი ბრიგადირიდან რვა აგრონომია.

ამხ. შოშიაშვილმა ილაპარაკა აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ იცვლის სახეს სოფელი ველისციხე. ვინც პირველად ჩამოდის აქ, ქალაქში ჰგონია თავი. აქ არის საშუალო სკოლა, მუსიკალური სკოლა, რომელიც ახალ კაპიტალურ შენობაშია, ოთხი ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, სადაც მუშაობს სახალხო თეატრი, კინოთეატრი, საუბნო საავადყოფო, სამშობიარო სახლი, აფთიაქი, სპორტული ბაღი, ძძლავრი წყალსადენი, რომლის მშენებლობას კოლმეურნეობამ 400 ათასი მანეთი მოახმარა. მშრომელებს ემსახურება საყოფაცხოვრებო სამსახურის ობიექტების ქსელი. დიდი ხანია დამთავრდა სოფლის ელექტრიფიკაცია და რადიოფიკაცია. ამჟამად კოლმეურნეობა აშენებს კულტურისა და დასვენების პარკს, რომელიც ოთხ ჰექტარს დიაკავებს, გრძელდება სოფლის გზების კეთილმოწყობა, ახალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა.

ორატორმა ილაპარაკა აგრეთვე სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა მიმდინარე წლის გეგმებზე, იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მათ იკისრეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ჩვენ, თქვა ქალაქ თბილისის № 5 საბავშვო ატელიეს გამგემ **ნ. მეფარიშვილმა,** ვემსახურებით ბავშვებს. სამი წლიდან უფროს სასკოლო ასაკამდე. ატელიე ხუთი წლის წინათ შეიქმნა. ამ ხნის განძილზე ატელიემ დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამას თვალნათლივ ცხადყოფს ის ფაქტი, რომ თუ 1962 წლის მანძილზე შეეასრულეთ 2.500 შეკვეთა, შარშან შეკვეთების რიცხვმა 20 ათასს გადააჭარბა. საიუბილეო წლის დავალება ატელიემ შეასრულა 7 ნოემბრისათვის, წლიური დავალება შესრულებულია 124 პროცენტით. ამ წარმატებებისათვის ჩვენს კოლექტივს გადაეცა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი სამახსოვრო ალმი. ბევრ მოწინავეს მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს თბილისის სხვა ატელიეებმაც, რომლებმაც შეასრულეს მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმლის შეკერვის 225 ათასი შეკვეთა. ეს 50 ათასი შეკვეთით მეტია, ვიდრე შარშან იყო.

ბოლო დროს ჩვენში ხშირად ეწყობა საუკეთესო ოსტატების ბრიგადა შემქნილი მოდელების კონკურსები, დათვალიერებები. ჩვენ ყურადღებით ვსწავლობთ მომმე მოკავშირე რესპუბლიკების კოლეგების, აგრეთვე საზღვარგარეთელი ოსტატების გამოცდილებას. მარტო წელს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაეკეთა ინდივიდუალური შეკერვის სისტემის 50 ახალგაზრდა მუშაკი უმაღლესი კვალიფიკაციის დასაუფლებლად.

შარშან თბილისში გაიხსნა მოდელების რესპუბლიკური სახლი. სახლის კონსულტანტები და მეგზურები გვპირდებიან, რომ 1968 წელს შექმნიან ტანსაცმლის,

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრა

(დასასრული)

ჯეკ უოდლისმა, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომისა და პოლიტიკური კომიტეტის წევრმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა სამ ძირითად მომენტს. პირველი: კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირმა დაწვრილებით უნდა გაანალიზოს იმპერიალიზმის თანამედროვე მდგომარეობა და გარკვეული დასკვნები გამოიტანოს იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით მოქმედების ერთობის წარმატებით განმტკიცების მეთოდების გამო. საჭიროა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გავუწოთ რაც შეიძლება მეტი დახმარება ღმათ, ვინც უშუალოდ იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ; და განსაკუთრებით საჭიროა ვიმსჯელოთ, თუ როგორ მივანიჭოთ ახალი გაჭანება იმ ფართო მოქმედებას, რომლის მიზანია დახმარების გაწევა გმირი ვიეტნამელი ხალხისათვის.

მეორე: ორატორმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია გადაჭრით ილაშქრებს ისეთი თათბირის წინააღმდეგ, რომლებზეც განიხილავენ სხვადასხვა პარტიის შეხედულებათა სხვაობასა და სხვა იდეოლოგიურ საკითხებს. „ასეთი თათბირის მოწვევის ცდა გააძლიერებს დაძაბულობასა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეხედულებათა სხვაობას“ — თქვა ორატორმა.

მესამე: მან გადაჭრით გაუსვა ხაზი, რომ მომავალში ასეთ თათბირებზე უნდა უზრუნველყონ ხაჯაროობა. კომუნისტურ პარტიებს არ უნდა ეშინოდეთ, პირიქით, ისინი ბევრს მოიგებენ, თუ მაკსიმალურ საჯაროობას მიანიჭებენ თავიანთ საქმიანობას. დიდი ბრიტანეთის კომპარტიის დელეგაციის ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა იმას, რომ თათბირი გაიმართოს მიმდინარე წლის დამლევს და დასძინა, რომ მოსკოვი ყველაზე შესაფერისი ადგილია ამ თათბირის გამართვისათვის.

მან კილმა, ლუსსემბურგის კომუნისტური პარტიის კოლიტბიუროს წევრმა სიტყვის დაწყებისას სინანული გამოთქვა რუმინელი ამხანაგების მიერ გადადგმული ნაბიჯის გამო, რომლებმაც შეხვედრა დატოვეს მიუხედავად ამისა, რომ ყველაფერი გაკეთდა საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტისათვის. მან განაცხადა, რომ ლუქსემბურგის დელეგაცია სიმპათიით ეკიდება იმ მოძმე პარტიების წარმომადგენლებს, რომლებსაც სრულიად უსაფუძვლოდ დაეხმა თავს რუმინელი ორატორი. ამასთან მას იმედი აქვს, „რომ არაუერი გამოუსწორებელი არ მომხდარა.

ლუქსემბურგის კომუნისტური პარტია თავიდანვე დადებითად მოეკიდა ახალი საერთაშორისო თათბირის მოწვევის იდეას, რასაც ადასტურებს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო პარტიის უკანასკნელმა ყრილობამ 1965 წლის 18-19 მარტს.

ლუქსემბურგის შრომელი მასებისათვის სულ უფრო გასაგები ხდება, რომ ამერიკის იმპერიალიზმი მათი მტერიცაა. ამასთან დაკავშირებით ორატორმა მიუთითა ვიეტნამელ და ბერძენ ხალხთან სოლიდარობის აქციებზე, რომლებსაც ლუქსემბურგის გაერთიანებული მემარცხენე ახალგაზრდობის კავშირები ახორციელებენ.

მოხაზა რა ზოგადად ლუქსემბურგელი ხალხის ერთიანი მოძრაობის ძირითადი ამოცანები ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი საშიში მოკავშირის — დასავლეთ გერმანიის რევანშიზმის წინააღმდეგ, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია საერთაშორისო თათბირის საკითხზე. ლუქსემბურგის დელეგაცია მხარს უჭერს იმას, რომ თათბირი მოიწვიონ წელსვე მოსკოვში. დღის წესრიგი უნდა შემოიფარგლებოდეს ერთი პუნქტით: მოქმედების ერთობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ, ლუქსემბურგის დელეგაცია თანახმა არ არის, რომ ამ თათბირზე პარტიებს შეუზღუდოს აზრის გამოთქმის თავისუფლება, ან შეელახოს მათი უფლება მიმართონ ერთმანეთის ამხანაგურ კრიტიკას.

დასასრულ კილმა აღნიშნა ხაბეთთა კავშირის გადამწყვეტი როლი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ედვრიუ ბარმა, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარემ თქვა: 66 კომუნისტური და მუშათა პარტიის დასწრება, აგრეთვე ის, რომ პარტიები წარმატებას უსურვებენ საკონსულტაციო შეხვედრას, მტკიცე საფუძველია, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი თათბირის მომზადება.

ამ მომავალ თათბირზე უნდა გვნიხილოთ მშვიდობისათვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები, ამ ამებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენი ხალხისა და საერთაშორისო მუშათა კლასის არსებობას და ცხოვრების დონეს.

ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხებია მონოპოლიების გაძლიერებული შემოტევა, მათი გაერთიანება, მათ მიერ ჩვენი ეკონომიკის ექსპლოატაცია.

იმპერიალიზმის განვითარების ახლანდელ ფაზას სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ხალხისათვის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უწევდნენ ექსპლოატაციას. მონოპოლისტური კაპიტალიზმის გაძლიერებულმა შემოქვრამ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში ვერ აღმოფხვრა და ვერც აღმოფხვრის საშინელ ბოროტებას — უმუშევრობას, ჩვენი მრავალი ათასი თანამემამულის ემიგრაციას.

ლუის კარლოს პრესტესმა ბრაზილიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ პარტიის მე-6 ყრილობამ, რომელიც გასული წლის დეკემბერში გაიმართა, მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს კომუნისტთა მსოფლიო თათბირის მოწვევას. მსოფლიოში მომხდარმა გარდაქმნებმა და ამით გამოწვეულმა ცვლილებებმა ადამიანთა შეგნებაში ობიექტურ აუცილებლობად აქციეს ამ თათბირის მოწვევა. 1960 წლიდან განვლილ პერიოდში სოციალისტურმა ქვეყნებმა და სოციალიზმის იდეებმა ხალხთა შორის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მორალური ავტორიტეტი მოიპოვეს, მაშინ როცა იმპერიალიზმი, განსაკუთრებით ჩრდილოეთამერიკის იმპერიალიზმი, სულ უფრო იზოლირებული ხდება და კარგავს პრესტიჟს.

ილაპარაკა რა თავის ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე, პრესტესმა თქვა, რომ ბრაზილიის მასების პოლიტიკური აზროვნებაც ამ მიმართულებით ვითარდება. მან ხაზი გაუსვა, რომ დიქტატურა, რომელმაც იმპერიალისტთა დახმარებით 1964 წელს ხელთ იგდო ძალაუფლება და რომელსაც თავდაპირველად მხარი დუჭირეს ბრაზილიის საშუალო კლასებმა, ამჟამად მისი ანტიეროვნული და ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად ფაქტიურად ხელს უწყობს ანტიიმპერიალისტური სულისკვეთებით მასების აღზრდასა და განათლებას. ახლა იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე ძალებში გაცილებით მეტი ხალხია და ეს ძალები მეტ საზოგადოებრივ ფენებს წარმოადგენენ, ვიდრე წინათ. ჩვენი პარტია უაღრესად დაინტერესებულია საერთაშორისო თათბირის მოწვევით, ვინაიდან ასეთი თათბირი განვითარების ახალი პროცესების მეცნიერული ანალიზის გზით ხელს შეუწყობს ბრაზილიაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს შორის პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

დასასრულ ლუის კარლოს პრესტესმა თქვა, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების ძირითადი პირობა უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და შინაპარტიული სოლიდარობის პრინციპის სწორი გამოყენება.

ჟონ ნოლანი — ირლანდიის მუშათა პარტიის აღმასკომის თავმჯდომარე შეეხო დოკუმენტს, რომელიც მიიღეს ვიეტნამის საკითხზე. ეს წერილი „დასტურებს, რომ აქ წარმოდგენილი ყველა პარტია ერთსულოვნად უჭერს მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს;

ამერიკის იმპერიალიზმი უსაზიზღრეს ბარბაროსულ დანაშაულს სჩადის ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად სამხეღრო ძლიერებისა, ვერ გაიმარჯვებს ამ ომში. ამ ბრძოლაში ვიეტნამელი ხალხი დიდ მსხვერპლს იღებს. მაგრამ იგი, კვლავინდებურად მამაცურად იბრძვის ამერიკელ აგრესორებთან სამშობლოს განთავისუფლებისათვის და უეჭველად გაიმარჯვებს.

მანუელ და სილვამ — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, თქვა:

შეხვედრა არსებითად შეესაბამება იმ მოსაზრებებს, რომლებიც განცხადებებში გამოთქვა პორტუგალიის კომუნისტურმა პარტიამ. ეს შეხვედრა უნდა შემოიფარგლოს იმით, რომ პარტიები შეთანხმდნენ მსოფლიო თათბირის მიზნებისა და დღის წესრიგის, მოსამზადებელი მუშაობის მეთოდების თაობაზე, პრინციპულად. მაგრამ არასაბოლოოდ დადგინონ თათბირის მოწვევის ვადა. ჩვენმა შეხვედრამ აქ დამსწრე და არადამსწრე პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს უნდა გააცნოს შეხვედრის ძირითადი მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება ორი ან სამი თვის შემდეგ ახალი, საკონსულტაციო შეხვედრის მოწვევის თაობაზე.

პორტუგალიის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ თათბირის ძირითადი მიზანია პარტიათა უფრო მჭიდრო თანამშრომლობის და კომუნისტური მოძრაობის ერთობის უზრუნველყოფა; თათბირი არ უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გავკიცხოთ ან გავრიცხოთ რომელიმე მოძმე პარტია; თათბირის დღის წესრიგი უნდა შეიცავდეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრას. თათბირში მონაწილეობის საშუალება უნდა მიეცეს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიას, მათ შორის იმათაც, რომლებიც 1960 წლის შემდეგ შეიქმნა. საერთაშორისო თათბირზე ისევე, როგორც ახლანდელ შეხვედრაზე მოსამზადებელი მუშაობის დროს, საშუალება უნდა მიეცეს ყველა პარტიას თავისი აზრის გამოთქმისა და მჭიდრო თანამშრომლობისათვის, რათა თათბირის საბოლოო დასკვნები აუცილებლად იყოს დამსწრე პარტიების კოლექტიური ანალიზის ურთიერთშეთანხმების შედეგი.

საუკთესო ხელოვნება

ერთიანად

ფაქტი კომენტარით

ანექსიის ახალი აქტი

პარიზი, 1 მარტი. (საკადესი). ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ამიერიდან „მტრის ტერიტორიებად“ აღარ ჩაითვლება იორდანიის „ყველა ოკუპირებული რაიონი, ღაზის სექტორი (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მიტაცებული ტერიტორია), სინაის ნახევარკუნძული და სირიის გოლანის სიმაღლეები. იუწყება რა ამას ფრანს პრესის სააგენტოს ტელევიზიელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბორციელდება ღონისძიებანი, რათა „სიცხადე“ შეიტანონ იერუსალიმის აღმოსავლეთა ნაწილის არაბი მოსახლეობის მდგომარეობაში. დღემდე ოკუპირებული იერუსალიმის არაბები ითვლებოდნენ ისრაელის მცხოვრებლებად და არა მის მოქალაქეებად.

საკადესის კომენტატორი ი. ტოსოვსკი წერს: ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება მსოფლიო საზოგადოებრიობას მიაჩნია ისრაელის დამპყრობლური პოლიტიკის ახალ გამოვლინებად. არაბული სახელმწიფოების პრესის „ოფიციალური“ აღნიშნავენ, რომ ისრაელის ხელისუფალთა აქცია მიზნად ისახავს განახორციელოს ამ ქვეყნის უკიდურესი შოვინისტური წრეების დიდი ხნის ოცნება — შექმნან ეგზისტენციალური „დიდი ისრაელი ნილოსიდან ევფრატამდე“. კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი“ ხაზს უსვამს, რომ ისრაელის მხედრობის მოქმედება კიდევ უფრო გაამწვავებს ვითარებას ახლო აღმოსავლეთში. ითვალისწინებს რა იმას, რომ ეს განცხადება ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა იმ მომენტში, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში იარინგი თავისი მისიის შედეგების შესახებ მოახსენებს უ თანს, წერს გაზეთი, იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ისრაელის ხელისუფალთ არა სურთ მშვიდობიანად მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთის კრიზისი. იორდანიის გაზეთი „ად-დუსტური“ წერს, რომ ისრაელის მოქმედება არაბულ კვეყნებზე შანტაჟისა და ზეგავლენის პოლიტიკის ნაწილია, რათა აიძულოს ისინი დათანხმდნენ ისრაელის მიერ წამოყენებულ პირობებზე.

ეი უკვე ცხრა თვეა ტელ-ავივში კვლავ ჯიუტად ახორციელებენ ბეც ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, რომლის განხორციელებისათვისაც პასუხისმგებლობა ისრაელის მმართველ წრეებს ეკისრებათ.

პატრიოტები უტევენ

კანი, 2 მარტი. (საკადესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა 25 თებერვალს შეუტიეს მოწინააღმდეგეს ლონგხუხოში. დახოცეს 57 და დაჭრეს დაახლოებით 40 კაცი. თხიათხიენის პროვინციის სამხრეთ ნაწილში განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა შეტევის დროს მწყობრიდან გამოიყვანეს 100-მდე ამერიკელი ჯარისკაცი.

მაკარტის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 მარტი. (საკადესი). შეერთებული შტატები ბოლოს ვერ მოუღებენ სიღატაკეს ამერიკის ქალაქებში, თუ განაგრძობენ ომს ვიეტნამში, განაცხადა სენატორმა იუჯინ მაკარტიმ ნიუარკში (ნიუ-ჯერსის შტატი) გამოსვლისას.

მან მოუწოდა მთავრობას ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს ზანგთა მდელვარების გამომწვევი სოციალური მიზეზების აღმოსაფხვრელად.

უნდა შეწყდეს ხოცვა-ჟლეტა ვიეტნამში, თქვა სენატორმა, როგორც იგი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების ამოცანაა ბოლო მოუღოს კოლონიალიზმს შეერთებული შტატების ზიგნით, აგრეთვე მიანიჭოს ზანგებს გეტოს გარეთ ცხოვრების განახლებისა და შრომის ძირითადი უფლებანი.

ბრძოლაში ამერიკელ-ვიეტნამელ ტანტებს ატომური ბრალდება დატვირთული ბომბდამშენების პროვოკაციული ფრენა სხვისი ტერიტორიების თავზე. (გაზეთებიდან).

სახიფათო „რეისი“ ნახ. ი. ჭოკაიშვილისა.

„იორკტაუნი“ ცვლის „კირსარჯს“

ტოკიო, 2 მარტი. (საკადესი). იაპონიის სახეობს ნავსადგურის უბეში და ნავმისადგომებთან ბევრი ამერიკული სამხედრო ხომალდი დგას.

გუშინ საღამოს სახეობში მოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების კიდევ ერთი რაზმი ავიამზიდ „იორკტაუნის“ მეთაურობით.

იმავე დღეს სახეობიდან წავიდა და მოსულებს ადგილი დაუთმო ესკადრამ, რომელსაც ავიამზიდი „კირსარჯი“ მეთაურობს. გარდა „იორკტაუნისა“, სახეობში არის აგრეთვე ავიამზიდი „კორალ სი“.

გაზეთი „ასახი“, განმარტავს რა ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდების უჩვეულოდ აქტიურ მიმოსვლას, წერს: ასეთი შემთხვევა, რომ სასეობში რვა დღის განმავლობაში მოსულიყოს ამერიკის შეერთებული შტატების სამი ავიამზიდი, კორეის ომის შემდეგ აღარ ყოფილა.

● საბერძნეთი

წმენდას განაგრძობენ

ათენი, 1 მარტი. (საკადესი). საბერძნეთში განაგრძობენ საბერძნეთის საზღვაო-საზღვაო ძალების ხომალდების კიდევ ერთი რაზმი ავიამზიდ „იორკტაუნის“ მეთაურობით.

● იტალია

იზრდება კომპარტიის რიგები

რომი, 1 მარტი. (საკადესი). იტალიის კომპარტიამ წარმატებით მიმდინარეობს პარტიული ბილეთების გამოცვლის მორიგი ყოველწლიური კამპანია. კამპანიის დროს იტალიის კომპარტიისა და იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის რიგებში შევიდა 80 ათასამდე ახალი წევრი. როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, მიმდინარე წლის 27 თებერვლისათვის ბილეთები უკვე გადაცემული იტალიის კომპარტიისა და იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის 1406 ათასმა წევრმა.

● გფრ

პრეზიდენტი თავს იმართლებს

ბონი, 2 მარტი. (საკადესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბკე გუშინ გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით. იგი გამოვიდა პრესაში მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების პასუხად, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს იგი აპროექტებდა და კონტროლს უწევდა ბარაკების მშენებლობას ბიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკებში. მხოლოდ ახლახან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთმა ყველაზე გავრცელებულმა ყურნალმა „შტერნმა“ გამოაქვეყნა ბარაკების ნახაზები, რომლებსაც ლუბკე ეზის ხელს.

თავის გამოსვლაში ლუბკე უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ აღიარა, რომ იყო ხელმძღვანელი თანამშრომელი „შლემპის სამშენებლო ჯგუფისა“, რომელიც გეგმავდა და აშენებდა ხვადასხვა სამშენებლო ობიექტებს. ახლა, თქვა მან, „ადარ მახსოვს ყველა ის დოკუმენტი, რომლებსაც ხელს ვაწერდი“.

როგორც ლუბკემ განაცხადა, სამშენებელო ჯგუფი, რომელშიც იგი მუშაობდა, აწარმოებდა აგრეთვე „ნაგებობათა დაგეგმვას“ „მუშახელის განლაგებისათვის“. იგი ამტკიცებს, რომ არ იცოდა, „როგორ მუშახელს“ ამბობენ ამ შენობებში.

აქ მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტ ლუბკეს გამოსვლა სრულიადაც ვერ მიაფუჩეჩებს ამ დიდ პოლიტიკურ სკანდალს, რომელმაც დააბეჭდვინა გერმანიისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის უურადღება მიიპყრო. თვითონ ლუბკემ განაცხადა, რომ მას არ სურს სახამართლო პროცესის აღძვრა იმათ წინააღმდეგ, ვინც მას ბრალს დებს, ვინაიდან ასეთი პროცესი „წლობით გაჭიანურდება“.

მზე, ჰაერი და ზღვა, შესანიშნავი ადგილმდებარეობა, პარკები და დასვენების კერები — ყოველივე ამისათვის უყვართ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კურორტი გაგრა.

სურათზე: გაგრა, ხედი ზღვაზე.

ფოტო ს. კილაძისა.

ტურისტული ბილიკებით

სოხუმის ტურისტთა ბაზის ეს პირველი სტუმრები, რომლებმაც რამდენიმე დღეს დაისვენეს ლაჟვარდოვან ზღვასთან, წავიდნენ წარმეაც ლაშქრობაში. მთა უნდა დაიპყრონ თოვლით დაფარული ჩუმკუსბის მთის მწვერვალი სამთოტურიზმის გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით.

მაშ ასე, ახალი სეზონი შავი ზღვის უდიდეს ტურისტულ ბაზაში გაიხსნა. ახლა აქ შვებულებას ატარებენ ურალის სამრეწველო საწარმოთა და სოფლის მეურნეობის მშრომელები, მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის მოსამსახურეები — სულ 200 კაცი. თუ მარშან ამ ბაზაში იყო დაახლოებით 25 ათასი ტურისტი, წელს სულ ცოტა 30 ათასი იქნება. (საკადესი).

● ბელგია

„ტელეტაიპის ლენტიდან“

● ეკონომია

„ეიორკტაუნი“ ცვლის „კირსარჯს“

ტოკიო, 2 მარტი. (საკადესი). იაპონიის სახეობს ნავსადგურის უბეში და ნავმისადგომებთან ბევრი ამერიკული სამხედრო ხომალდი დგას.

გუშინ საღამოს სახეობში მოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების კიდევ ერთი რაზმი ავიამზიდ „იორკტაუნის“ მეთაურობით.

იმავე დღეს სახეობიდან წავიდა და მოსულებს ადგილი დაუთმო ესკადრამ, რომელსაც ავიამზიდი „კირსარჯი“ მეთაურობს. გარდა „იორკტაუნისა“, სახეობში არის აგრეთვე ავიამზიდი „კორალ სი“.

გაზეთი „ასახი“, განმარტავს რა ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდების უჩვეულოდ აქტიურ მიმოსვლას, წერს: ასეთი შემთხვევა, რომ სასეობში რვა დღის განმავლობაში მოსულიყოს ამერიკის შეერთებული შტატების სამი ავიამზიდი, კორეის ომის შემდეგ აღარ ყოფილა.

● ინდოეთი

ბანდიტ-ტურნირზე

ბანგალორი, 2 მარტი. (საკადესი). ინდოეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბკე გუშინ გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით. იგი გამოვიდა პრესაში მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების პასუხად, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს იგი აპროექტებდა და კონტროლს უწევდა ბარაკების მშენებლობას ბიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკებში. მხოლოდ ახლახან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთმა ყველაზე გავრცელებულმა ყურნალმა „შტერნმა“ გამოაქვეყნა ბარაკების ნახაზები, რომლებსაც ლუბკე ეზის ხელს.

თავის გამოსვლაში ლუბკე უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ აღიარა, რომ იყო ხელმძღვანელი თანამშრომელი „შლემპის სამშენებლო ჯგუფისა“, რომელიც გეგმავდა და აშენებდა ხვადასხვა სამშენებლო ობიექტებს. ახლა, თქვა მან, „ადარ მახსოვს ყველა ის დოკუმენტი, რომლებსაც ხელს ვაწერდი“.

როგორც ლუბკემ განაცხადა, სამშენებელო ჯგუფი, რომელშიც იგი მუშაობდა, აწარმოებდა აგრეთვე „ნაგებობათა დაგეგმვას“ „მუშახელის განლაგებისათვის“. იგი ამტკიცებს, რომ არ იცოდა, „როგორ მუშახელს“ ამბობენ ამ შენობებში.

აქ მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტ ლუბკეს გამოსვლა სრულიადაც ვერ მიაფუჩეჩებს ამ დიდ პოლიტიკურ სკანდალს, რომელმაც დააბეჭდვინა გერმანიისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის უურადღება მიიპყრო. თვითონ ლუბკემ განაცხადა, რომ მას არ სურს სახამართლო პროცესის აღძვრა იმათ წინააღმდეგ, ვინც მას ბრალს დებს, ვინაიდან ასეთი პროცესი „წლობით გაჭიანურდება“.

● ბელგია

...

● ...

...

● ...

...

● ...